სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/89

ქ. თბილისი

30 ივნისი 2020წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტალღას“ დირექტორის, ქალბატონ მედეა ბურჯანაძის მოხსენებითი ბარათი ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობაზე (მეცნიერი თანამშრომელი, ერთი საშტატო ერთეული) კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის $რ^5$ ქვეპუნქტისა და ინსტიტუტ „ტალღას“ დირექტორის, ქალბატონ მედეა ბურჯანაძის 2020 წლის 5 მარტის N274884 წერილის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტალღას“ სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
		სამეცნიერო განყოფილება	
1	მეცნიერი თანამშრომელი	1	მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს: -სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების მიზნები და ამოცანები; - ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ; -მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**